საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 1 ივნისის
დადგენილება № 686

სტუ-ში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო
პროგრამის კომპონენტების არჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს "სტუ-ში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი" წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო
პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი

1. შესავალი

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 120/ნ ბრძანების "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" მე-3 დანართის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, სტუდენტს, რომელიც სწავლობს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეუძლია ძირითადი სპეციალობის (არანაკლებ 120 კრედიტი), დამატებითი სპეციალობისა (სასურველია 60 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტების (მოდულები/სასწავლო კურსები) კომბინირება შემდეგი სახით:

ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

1.2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებითა და შესაბამისი რეკომენდაციებით, უნივერსიტეტს ევალება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის გამჭვირვალე წესის შემუშავება, აგრეთვე, სტუდენტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციისა და დახმარების გაწევის უზრუნველყოფა საკუთარი პროფილის განსაზღვრის მიზნით.

1.3. არსებული კანონმდებლობის თანახმად, სტუდენტს უფლება აქვს ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე ციკლის (არანაკლებ 120 კრედიტის) გავლის შემდეგ დამატებითი სპეციალობები ან/და თავისუფალი კომპონენტები აირჩიოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან. ამრიგად, სტუდენტმა ძირითადი სპეციალობის შესაბამისი

კვალიფიკაცია შესაძლებელია მიიღოს მხოლოდ 120 კრედიტის ათვისების შედეგად. წესდების თანახმად უნივერსიტეტის "სტრატეგიული მიზანია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენტურობების მქონე სპეციალისტების მომზადება" (მუხლი 5, პ. 1). როგორც პრაქტიკამ და გამოცდილებამ აჩვენა, ასეთი სპეციალისტის მომზადება მხოლოდ 120 კრედიტის ათვისების შემთხვევაში, განსაკუთრებით საინჟინრო სფეროში, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, მიზანშეწონილია, სტუდენტს კვალიფიკაცია მიენიჭოს ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ არანაკლებ 180 კრედიტის ათვისების შემთხვევაში (120 კრედიტი - მოკლე ციკლი და 60 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტები) და დამატებითი სპეციალობით ან თავისუფალი კომპონენტებით 240 კრედიტის დაგროვების პირობით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 120/ნ ბრძანების "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" მე-3 დანართის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტში არსებული ჩანაწერი "ძირითადი სპეციალობის (არანაკლებ 120 კრედიტი)", შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელი კრედიტების რაოდენობას ზღუდავს მხოლოდ ქვემოდან, რაც, გარკვეულწილად, კრედიტების გაზრდის უფლებას იძლევა.

1.4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის ქვემოთ მოცემული წესი, მისი რეალიზაციის ღონისძიებები და შესაბამისი რეკომენდაციები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი

2.1. სტუდენტს უნდა ჰქონდეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობების დაუფლებისა და თავისუფალი კომპონენტების ათვისების შესაძლებლობა. თავისუფალი კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი მოდული და, ასევე, სპეციალურ ჩამონათვალსა და მოდულში არსებული სასწავლო კურსი/საგანი.

2.2. დამატებითი სპეციალობებისა და თავისუფალი კომპონენტების არჩევა დასაშვებია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედ სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან.

2.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები რეგულირებად პროგრამებთან მიმართებით.

2.4. ძირითადია მაპროფილებელი სპეციალობა, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ძირითადი სპეციალობის კომპონენტებს ეთმობა მინიმუმ 120 კრედიტი (ე. წ. მოკლე ციკლი), რომელთა ათვისება აუცილებელია შუალედური კვალიფიკაციის მისანიჭებლად. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად აუცილებელია სტუდენტმა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი დამატებითი სპეციალობითა ან/და თავისუფალი კომპონენტებით განსაზღვრული კრედიტების საშუალებით.

2.5. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი მითითებული უნდა იყოს დიპლომში.

2.6. საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ ყველა მოდულსა და სასწავლო კურსს (საგანს) მითითებული აქვს (არსებობის შემთხვევაში) დაშვების წინაპირობა. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის კომპეტენტურობების წინასწარი იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს მოდულითა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. წინაპირობები უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და ლოგიკური.

2.7. დამატებით სპეციალობაზე ან მოდულზე დაშვებისათვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს მოკლე ციკლის (არანაკლებ 120 კრედიტის) ძირითადი ნაწილი. დასაშვებია, აუთვისებელი დარჩეს არა უმეტეს 30 კრედიტისა, რომელთა ათვისება აუცილებელია მომდევნო წლების განმავლობაში. ყველა შემთხვევაში, დამატებით სპეციალობაზე, მოდულზე ან სასწავლო კურსზე/საგანზე დაშვებისათვის სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს დაშვების შესაბამის წინაპირობებს.

2.8. თუ დამატებითი სპეციალობის ან მოდულის არჩევის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ სტუდენტს გავლილი აქვს მასში გათვალისწინებული რომელიმე საგანი, გამონთავისუფლებული კრედიტების ფარგლებში იგი თავისუფალი კომპონენტების სახით ირჩევს სხვა, მისთვის სასურველ საგანს როგორც იმავე, ასევე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან.

2.9. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ მოკლე ციკლში შესაძლებელია იყოს არჩევითი საგნების ბლოკი. აღნიშნული საგნების არჩევის დროს მიზანშეწონილია, სტუდენტმა გაითვალისწინოს თავისი მომავალი პროფილი - შეარჩიოს ისეთი საგნები, რომლებიც, დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, სასურველი დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კომპონენტების გავლის საშუალებას მისცემენ.

2.10. განაცხადი დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კომპონენტის არჩევის შესახებ სტუდენტმა ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარადგინოს არაუგვიანეს ათი კვირისა სასწავლო წლის დამთავრებამდე.

2.11. ცალკეული დამატებითი სპეციალობის, მოდულის ან სასწავლო კურსის/საგნის სწავლება, როგორც წესი, დასაშვებია არანაკლებ 15 მსურველი სტუდენტის შემთხვევაში. მსურველთა რაოდენობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე ჯგუფი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგინოს წინადადებები სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

3.2. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, პროგრამის ხელმძღვანელის წინადადებით გაფორმდება სხვა დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შეთანხმება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

4. რეალიზაციის ღონისძიებები და რეკომენდაციები

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული სტუდენტისათვის. იგი უნდა განთავსდეს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ვებ-გვერდებზე, ასევე, უნდა იყოს მისი ასლის მიღების შესაძლებლობა.

4.2. ფაკულტეტის დეკანატში უნდა იყოს პირი, რომელიც კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს პროფილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

4.3. თითოეულ ჯგუფზე მიმაგრებული უნდა იყოს პირი, რომელიც სტუდენტებს მიაწოდებს საჭირო ინფორმაციას, გაუწევს მათ კონსულტაციასა და დაეხმარება საკუთარი პროფილის განსაზღვრაში.